ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს არვის წავართმევთ — ჩვენს ნურვინ შეგვეცილება!

# კოროლი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის

№1 ორგანიზაცია 1989 წელი 11 ნოემბერი № 3

## მერაბ კოსტავა

რა უფრო მძიმეა შენთვის:
შეძენა თუ დაკარგვა?
ლაო-ძი

ჯერაც გაუსრულებელი 1989 წელი, საქართველოს ისტორიაში აუცილებლად შევა, როგორც საჩინო ნიშანსვეტი ჩვენი ერის თვითცნობიერების უზომო ამაღლებისა და ურყევი გადაწყვეტილების მიღწევისა - იბრძოლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ამავე წელს უდიდესი დანაკლისიც განვიცადეთ: 9 აპრილისა და აფხაზეთის მოვლენათა მსხვერპლთა ზედა მგლოვიარე ქართველობამ დაკარგა ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

დიახ გმირი!

ჩვენს პრაგმატულ ეპოქაში, თანაც ტოტალიტარიზმისა და ეროვნული ჩაგვრისაგან ჭეშმარიტ სულიერ ორიენტირებს მოკლებულ ქართველთა დიდ უმრავლესობას გმირობის ცნება ზეადამიანურად ეჩვენებოდა, დაახლოებით იმდაგვარად, რუსთაველი რომ ბრძანებს:

"ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ღხინსა ღხინად უჩანს, არცა ჭირი ჭედა-ზედი;
ერთ ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი!"

ბატონი მერაბი ნამდვილად მაღალი და მაღლად მხედი პიროვნება გახლდათ, რადგან მთელი ცხოვრების გზა ისე გაიარა, რომ არათუ მწიკვლი ბიწისა, არამედ სიცოცხლის ბოლოს, საყოველთაო სიყვარულით გარემოცულს, შურიც კი ვერ მიეკარა; შურზე ამაღლება, მოგეხსენებათ, ხვედრია ოდენ რჩეულთა.

ძნელად მოიძებნება კაცი, ვისაც მერაბისოდენი ჭირ-ვარამი გადაეტანოს, მაგრამ ბოლომდე გაუტეხელ ვაჟკაცად დარჩა იგი.

ბედი არ ჰქონიაო! - გაისმოდა უამრავ ბაგეთაგან მისი სიკვდილის გამო თქმული. ცხოვრებაშიო, - იქვე აზუსტებენ, რადგან იმ დროს უკვე ყველა მიმხვდარიყო, რომ იგი სიცოცხლეშიც "სხვაგან" იყო, სოფლიურზე ამაღლებული, ღვთიურ და კაცობრივ თავისუფლებას ნაზიარები, მშობელ ხალხისთვის ირჯებოდა და მისთვის იტანჯა.

ბატონი მერაბის გვერდით ყოფნა ყველა მამულიშვილისთვის იყო საოცრება და უცილო დასტური იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი და სულიერი ზეობისას შექმნილ საზომს კაცობისას, ამ დაცემის ხანაშიც, მისი სახით ჰყავდა ბადალი და ეს განცდა, მის თანამებრძოლებს ავსებდა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით.

ნიშანდობლივია, რომ დაღუპვამდე ორიოდე დღით ადრე, კინოს სახლთან მიტინგზე გამოსვლისას, მან პირველმა, დასვა საკითხი მსხვერპლის ცნებისა და მოუწოდა თავის ერს თვითშეწირვის უნარის აღორძინებისაკენ.

ბატონი მერაბი ტარიგია საქართველოსი, აწ ქცეული თანამდევ სულად;

დაკარგა, მაგრამ სახეცვლილი შეიძინა იგი საქართველომ;

რა უფრო მძიმეა ?

სწორად დასმულ კითხვას პასუხი არ ეძებნებაო, - უთქვამს ერთ ინდოელ ბრძენს.

ჭეშმარიტად!

---

### მ ე რ ა ბ !!!

როცა ბებერ მუხასა
მუმლი შემოესია,
დიდგორიდან მოხვედი
საქართველოს მესიად.
იმან გზა დაგილოცა
ქართვლი ვინც ალაშენა,
დიდგორიდან მოხვედი
საქართველოს საშველად.
დაამსხვრიე ბორკილი,
დაამსხვრიე ხუნდები...
დიდგორის მეომარი
კვლავ დიდგორში ბრუნდები.
ხომ არ დაიგვიანე,
საუკუნე გელოდით...

ახლა ყველა ქართველი,
ვცოცხლობთ საქართველოთი.
მერაბ, დედას ქართლისას
რა ლეჩაქი დაჰხურე,
დავამარცხებთ, შავლეგო,
ჯოჯოხეთის მსახურებს.
ბნელეთის დასაწახად
თვალი რომ აგვეხილოს,
ჩვენთან უნდა იარო
ასე შუბლ დაჩეხილო.
გაილვიძე, მამულო,
ახლა რა დროს ძილია,
მერაბ, სასუფეველში
შეგიძლევება ილია!

სიმონ ბალახაძე

---

## ინფორმაცია

1989 წლის 11 ოქტომბრიდან სპორტის სასახლესთან მიმდინარეობს წვევამდელთა გაფიცვა. ახალგაზრდები უარს აცხადებენ საბჭოთა არმიაში სამსახურზე. სსრკ-ს შეიარაღებული ძალები ღირსეული მემკვიდრენი არიან იმ მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე და მეცამეტე არმიების ნაწილებისა, რომელთაც 1921 წელს მოახდინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია.

საოკუპაციო ჯარების ბოიკოტის აქციას ხელმძღვანელობენ

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და წმინდა ილია მართლის საზოგადოება. ამჟამად გაფიცულთა რაოდენობა თბილისში 200- ზე მეტია, ხოლო საქართველოს მასშტაბით - 500-მდე აღწევს.

◆ მიმდინარე წლის 9 ნოემბერს სამაჩაბლოს მიწა-წყალზე /ოკუპაციის შემდგომ, კერძოდ 1922 წლიდან, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი/ მის ამჟამინდელ ადმინისტრაციულ ცენტრში - ქ. ცხინვალში ამიერკავკასიელი ოსების "'ეროვნულმა მოძრაობამ'" თავდასხმა მოაწყო კომპარტიის საოლქო კომიტეტზე. შენობაში მყოფნი მძევლებად აიყვანეს, წამოაყენეს მთელი რიგი სეპარატისტული მოთხოვნები. მოითხოვეს ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გადაკეთება, ხოლო შემდგომ ეტაპზე, ოსეთთან / ე.წ. ჩრდილო ოსეთის ასსრ/ შეერთება. თბილისური ოფიციოზი აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ საქართველოში გადაწყდება. რესპუბლიკის ადმინისტრაცია ოსი ეთნო-ბანდიტების გამოსვლებს ნაციონალიზმად ნათლავს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მათთვის მეტისმეტი პატივია. არავითარი ოსური ნაციონალიზმი სამაჩაბლოში არ არსებობს და ვერც იარსებებს. ჩვენ საქმე გვაქვს უპერსპექტივო ეთნოკრატიულ გამოხტომებთან, რომლებიც ინსპირირებულია კრემლის მიერ. სხვა რაზე უნდა მეტყველებდეს მათი სეპარატისტული ორგანიზაციის - "ადამონ ნიხასის" მიერ გათავისებული იდეა "ერთიანი ფედერალური ცენტრისადმი დაქვემდებარების" შესახებ.

# უცხოეთში

__აშშ__

ორგანიზაცია "ექიმები ადამიანის უფლებათა დაცვისათვის" ხელმძღვანელმა ჯონათან სპაინმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაციის ექიმების თბილისში ჩამოსვლისათვის, 9 აპრილის ამბების შემდეგ მიმართეს საბჭოთა მთავრობას ვიზებისათვის, მაგრამ მათ პასუხიც კი არ ღირსეს. მათ ჩვენთან ჩამოსვლა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხეს, რაც ა.სახაროვს დაუკავშირდნენ.

---

__საფრანგეთი__

ორგანიზაცია "რეპორტიორები საზღვრების გარეშე" აღსდგა დამოუკიდებელი ჟურნალისტის, ყოველკვირეულ "გლასნოსტის" სვერდლოვსკელი კორესპონდენტის სერგეი კუზნეცოვის დასაცავად, რომელიც 18 ოქტომბერს დააპატიმრეს მოსკოვში. მეორე დღიდანვე მან გამოაცხადა საპროტესტო შიმშილობა, რადგან თვლის რომ დაპატიმრებულია უკანონოდ- საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ სახალხო დეპუტატთან, რომელიც ამავე დროს სუკ-ის თანამშრომელია, შეკამათებისათვის. ს.კუზნეცოვი ამჟამად ციხის საავადმყოფოში იმყოფება, რადგან შიმშილობისგან დასუსტებული, სასამართლოს დარბაზის კიბეებზე დაეცა /სინამდვილეში დაუნდობლად ნაცემია/ და დაიზიანა ხერხემალი და თავის ტვინი. ექიმები უპირებენ მას ზურგის ტვინის პუნქციას, მაგრამ იგი უარზეა რადგან არ ენდობა მათ და მოითხოვს ექიმების საფრანგეთიდან მოწვევას.

---

ყარაბაღი /არწახი/

საბჭოთა საინფორმაციო საშუალებების ცნობით სსრკ უმაღლესი საბჭოს ე.წ. ყარაბაღის კომისიის თავმჯდომარე ტარაზევიჩს ორივე მოქიშპე მხარემ უარი განუცხადა მორიგების მისეულ გეგმას. დაიწყო და ფართო მასშტაბებს იღებს სომეხთა და აზერბაიჯანელთა მხრიდან თავდასხმები და სამხედროების მძევლად მოტაცების შემთხვევები. ამა წლის თებერვლიდან მოკლულია 200, დაჭრილია 5 ათასი კაცი.

---

__ავღანეთი__

მოჯაჰედების საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ 31 ოქტომბერს სალანგის გზატკეცილზე შეაჩერეს და ხელთ იგდეს სსრკ-დან ქაბულისაკენ მიმავალი სურსათით დატვირთული 2 000 ავტომანქანიანი კოლონა.

---

__რუსეთი__

30 ოქტომბერს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს საბჭოთა პოლიტპატიმრის საერთაშორისო დღეს.

ამ დღეს მოსკოვში სუკის შენობას გარს შემოერტყა 1500 კაცი, ხელში ანთებული სანთლებით, ამ ორგანიზაციის მსხვერპლთა სულის მოსახსენებლად. შემდეგ მანიფესტანტები გაემართნენ პუშკინის მოედნისაკენ, სადაც მიტინგის გამართვა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მათ გზა გადაუღობეს და სასტიკად სცემეს მილიციისა და შინაგან ჯარების ნაწილებმა. ორმოცდაათამდე კაცი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოშია მოთავსებული, ორმოცამდე ადამიანი დააპატიმრეს.

ამავე დღეს საპროტესტო გამოსვლები გაიმართა რუსეთის სხვა ქალაქებშიც:

ლენინგრადი - ქალაქის ცენტრში გაიმართა 5 000 კაციანი მიტინგი.

კრასნოიარსკი -16 საათზე ლენინის მოედანზე გაიმართა საპროტესტო მიტინგი. მილიციამ დაჰფანტა და სცემა დემონსტრანტებს. დააკავეს ოცდაათამდე კაცი.

ირკუტსკი - აქ ჩატარდა მდუმარე დემონსტრაცია. შემდეგ პარტია "დემოკრატიულმა კავშირმა" და ანარქო-სინდიკალისტებმა მდ. ანგარის პირას ჩაატარეს ერთ საათიანი მიტინგი და მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდეს ხელისუფლებას მოახდინონ ყველა პოლიტპატიმრის სრული რეაბილიტაცია. საინტერესოა, რომ ქალაქის აღმასკომმა უარი განაცხადა რეზოლუციის ჩაბარებაზე იმ მოტივით, აქაოდა, ჰელსინკის ხელშეკრულებასაბჭოთა კავშირს რატიფიცირებული არ აქვსო.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მკაცრად დაჰგმო მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევა პუშკინის მოედანზე და სსრკ-ს მთავრობას მოუწოდა, მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი ქმედებისაგან.

---

__ჩინეთი.__

აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან შეხვედრისას პეკინში, ჩინეთის ხელმძღვანელმა - დენ სიაო პინმა ამერიკა დაადანაშაულა ივნისის თვეში ჩინელ სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლების წაქეზებაში. ახლახანს, ჩინეთის სახალხო ყრილობამ მიიღო კანონი, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაციებისა და სახალხო თავყრილობათა გამართვა, თუ ეს არ სურს ხელისუფლებას.

---

__ჩეხოსლოვაკია__

ჩეხოსლოვაკიის 6 არაფორმალურმა დაჯგუფებამ ე.შევარდნაძეს გაუგზავნეს საპროტესტო წერილი იმ ინტერვიუს გამო, რომელიც მან მისცა პოლონურ გაზეთ "ვიბორჩას". ამ ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ 1968 წელს "პრაღის გაზაფხულის" ჩახშობის გადაწყვეტილება მიიღო არა საბჭოთა კავშირმა, არამედ მთელმა ვარშავის ბლოკმა.

"უსამართლობა რჩება უსამართლობად გინდ კოლექტიური იყოს იგი, გინდ ინდივიდუალური." - ნათქვამია წერილში.

---

__ლიტვა!__

29 /X-ს ვილნიუსში ჩატარდა აქ მცხოვრებ უკრაინელთა ყრილობა. მან მხარი დაუჭირა ლიტვაში მიმდინარე პროცესებს.



# საბჭოთა არჩევნები - დაპყრობა უომრად

დამპყრობელი სერიოზულ ხაფანგს უმზადებს ქართველ ხალხს – ე.წ. საბჭოთა არჩევნებს. მოძალადე ცდილობს მისთვის სასურველ კალაპოტში მოაქციოს აზვირთებული ქართული ენერგია. საარჩევნო ბიულეტენებით მოთოკოს ულტრათანამედროვე იარაღის წინაშეც კი დაუმორჩილებელი ქართული სული. ცნობილია, იმპერიული **КНУТ И ПРЯНИК**-ის პოლიტიკა. შენაცვლებით ხმარობენ ორთავეს. ამჯერად, მორიგი/ოღონდ არა რიგითი/ საბჭოთა არჩევნები სწორედ რომ ამგვარი **ПРЯНИК**-ია. ტკბილი, მაგრამ შხამიანია იგი. აგრესორი ფიქრობს: რასაც როზგვით ვერ მივაღწევ, მოთაფლვით უნდა მოვახერხო. დაე, იზრახუნონ რამდენიც უნდათ რესპუბლიკური უმაღლესი საბჭოს კედლებში, აქვეყნონ სუვერენობის შესახებ დეკლარაციები, თუნდაც ანექსიის ცნობის აქტები აფრიალონ... მაინც ხომ მათი სიუზერენი /ე.ი. ბატონ - პატრონი/ მე დავრჩები, რადგან ყოველივე საბჭოური კონსტიტუციის ფარგლებში დარჩება, რომლის სადავე მტკიცედ მიპყრია ხელთ. მართლაც, რესპუბლიკური და საკავშირო კანონების დაპირისპირებისას სსრკ-იმპერიული კონსტიტუციის თანახმად უპირატესობა საკავშირო კანონს ენიჭება და როგორც ეს ბალტიისპირული მაგალითებითაც დადასტურდა კრემლი თავისას გაიტანს. ვისთან იჩივლებს საქართველოს "უმაღლესი საბჭო"? გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში?! საბჭო საბჭოს ვერ უჩივლებს. გაერო საბჭოთა ხალხების მომრიგებლად ვერ გამოდგება. ბუნებრივია, ან რუსეთის მიერ ოკუპირებულად უნდა ჩაითვალოს საქართველო, ან მის მოკავშირედ. ამ გარემოებას ვერსად წაუხვალ.

ე.წ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ძალმომრეობით წარმოქმნილი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელსაც სრულიად უკანონოდ, ასე ვთქვათ, "გუგულის ბარტყის უფლებით" უკავია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილი. სწორედ სიმბოლურია, რომ ჩვენი მარიონეტული მთავრობის სასახლე 1921 წელს თბილისის დაცვისას დაცემულ ქართველ იუნკერთა ძვლებზე დგას.

უკანასკნელ პერიოდამდე ჩატარებული "არჩევნების" დროს არჩევა ფიზიკურად შეუძლებელი იყო, რადგან ერთ ადგილზე ერთი "კანდიდატი" მოდიოდა. ამჟამინდელი არჩევნები პლურალიზმისა და ბრძოლის ილუზიას ქმნიან, ორიოდე ცნობილი პიროვნების დეპუტატად გაყვანა ლამის დიდ ეროვნულ გამარჯვებად ჩაითვალა. არ შევუდგები "დუმილის ბიჭების" კრიტიკას, ვინაიდან ვერც დაგეგმილი "მყვირალა ბიჭები" შეძლებენ არსებითი შედეგების მიღწევას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რეალური ძალაუფლება მსოფლიო ისტორიისათვის ამ ერთ-ერთ უკანასკნელ იმპერიაში ხელთ უპყრია არა რომელიმე საბჭოს, არამედ კომპარტიის გაზულუქებულ ნომენკლატურას მის საიმპერიო ცენტრში. ჩვენი საუკუნის უდიდეს სიცრუეთაგანი თვით საბჭოების ხელისუფლებაა. იგი სინამდვილეში არასდროს არსებულა. განა დაეჯერებათ მათ, ვინც მთელი ქვეყნიერების გასაგონად ურცხვად გაჰყვირიან 1917 წლის ლოზუნგის **ВСЯ ВЛАСТЬ СОВЕТАМ** რეალიზაციას ახლა ვახდენთო? ამდენი ხოცვა-ჟლეტა და წამება რისთვის მოაწყვეს, თუ ამ ერთ ლოზუნგსაც ვერ დაამკვიდრებდნენ?! აღარაფერს ვიტყვით განვითარებული სოციალიზმის აყვავებულ საზოგადოებაზე და მით უფრო მითიურ კომუნიზმზე, რომელზეც ლაპარაკი თვით კომპარტიის შიგნით უკვე დიდ უხერხულობას იწვევს.

დროა ყველას გასაგონად პირუთვნელად ითქვას, რომ საბჭოურ არჩევნებში მონაწილეობა საქართველოს ყოველი პატრიოტისათვის, როგორც ზნეობრივი, ისე იურიდიული დანაშაულია წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე. ამის უარსაყოფად ბალტიისპირეთის "სახალხო ფრონტების" მაგალითის მოშველიება ვერაფერი არგუმენტია, რადგან ჩვენთან შედარებით მათ, შეიძლება ითქვას, თავი ქუდში აქვთ. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი დაპყრობილ იქნენ ე.წ. სსრკ-ს შექმნის შემდეგ, ხოლო მათი ანექსიის კანონიერება არასდროს ულიარებიათ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს. ისინი დღესაც მითვისებულად ითვლებიან და მათი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი ერთ-ერთ მუდმივ თემად დგება ბეიკერ-შევარდნაძის მოლაპარაკებათა მრავალმხრივ კომპლექსში. დამოუკიდებელი საქართველო კი რსფსრ-მ დაიპყრო დასავლეთის სახელმწიფოების მიერ ე.წ. სსრკ-ს ოფიციალურად ცნობამდე. ინგლისმა და საფრანგეთმა საბჭოთა ხელისუფლება ცნეს ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელთა მოსახლეობა მას საკუთრად აღიარებდა. ამის შესახებ ცნობები თვით ქართულ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ რამდენად გაუმართლებელია ჩვენთვის საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა, ან სულაც სამშობლოს ამ უომრად დაპყრობაში თანამონაწილეობა.

საქართველოს განმანთავისუფლებელი, ჭეშმარიტად სამართლებრივ-პოლიტიკური ბრძოლის თვალსაზრისით მთავარი როდია საქართველოს უმაღლესმა საბჭომ, ან თუნდაც თვით მოდერნიზებული იმპერიის უმაღლესმა საბჭომ ცნონ 1921 წლის ანექსიის ფაქტი, არამედ ის, რომ საქართველო საერთაშორისო სამართლისა და ცივილიზებული კაცობრიობის მიერ დღესაც ოკუპირებულ ქვეყნად იქნეს აღიარებული. ამის შედეგად დღის წესრიგში ოფიციალურად დადგება საქართველოს საკითხი, კრემლს მოეთხოვება ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება და აგრესიის აღკვეთა. ყოველივე ამის მისაღწევად კი საჭიროა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მსოფლიო მასშტაბით სათანადო რეზონანსის მოპოვება.

საბჭოური საარჩევნო ხრიკის ჩაშლით ქართველი ერი ნათლად, ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით, სხვა მნიშვნელოვან აქციებთან ერთად დაამტკიცებს თავის შეუგუებლობას არსებული მდგომარეობისადმი და გამოხატავს კაცობრიობის რეალურ პოლიტიკურ სტრუქტურებში დამკვიდრების ურყევ ნებას. ეს იქნება უდიდესი ეტაპობრივი გამარჯვება მამულის გამოხსნის სამართლიან და კეთილშობილურ საქმეში, რითაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თვისებრივად ახალ, უფრო მაღალხარისხოვან დონეს მიაღწევს, შემდგომ კი მნიშვნელოვნად განმტკიცებული პოზიციებიდან შეუდგება დარჩენილ დაბრკოლებათა წარმატებით გადალახვას. ამისათვის კი საჭიროა არ დავხარბდეთ ნეობოლშევიკურ **ПРЯНИК**-ს და არ წამოვეგოთ კომუნისტური რეჟიმის მიერ დაგებულ ფსევდოპარლამენტურ ანკესს. უკანონო, უზნეო და უძლურ პარლამენტს სჯობს უპარლამენტობა. საერთო - სახალხო სამართლებრივი ბრძოლა სჯობია ეროვნული საქმის ვითომპარლამენტისათვის გადაბარებას. ან სად გაგონილა ერთპარტიული პარლამენტი? პარლამენტი და პარლამენტური ბრძოლის დაშვება შეიძლება იქ, სადაც მრავალპარტიულობა და მოქმედების პლურალიზმი კანონის ძალითაა გარანტირებული საზოგადოებისათვის. საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი - სხვა გზა, სხვა ალტერნატივა ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობას და მის თანამგრძნობ მამულიშვილებს არც ზნეობრივად, არც იურიდიულად და არც პრაქტიკულად არ გააჩნიათ.

დასასრულ, საგანგებოდ უნდა ითქვას შემდეგი: ჩვენ ყველამ ერთად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, მთელმა ერმა, თითოეულმა ჩვენთაგანმა არამც და არამც არ უნდა დაუშვათ ახალი სამოკავშირო ხელშეკრულების დადება რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში არ აგვცდება შთამომავალთა სამართლიანი საუკუნო წყევლა-კრულვა და გინება. ე.წ. ახალი სამოკავშირო ხელშეკრულების დადება უთუოდ უომრად ხელახალი და მით უფრო საბედისწერო დაპყრობის ტოლფარდი იქნება. მერმისისათვის დაუფარავი აღმოჩნდება ამჟამინდელი სულმოკლეობის ყოველგვარი გამოვლენა ისევე, როგორც ვერ დაიმალა წინა საუკუნისა და 1918-1921 წლების ამბები. ღმერთი არ გვაპატიებს წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე უპასუხისმგებლობას. ვიმეორებ, საკადრისს მოგვიზღავს მომავალი თაობაც. ამგვარია მკაცრი რეალობა.

ირაკლი შელია

მოგიწოდებთ ბოიკოტი
გამოუცხადოთ საბჭოთა
არჩევნებს!

[redacted]

სსრკ სახალხო დეპუტატმა, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა იური ვლასოვმა, რომელმაც ყველას დაამახსოვრა თავი თამამი გამოსვლით ე.წ. სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, ა.წ. 25 ოქტომბერს ქ. მოსკოვის ლუბლინოს რაიკომში ჩააბარა თავისი სკკპ მანდატი.

რადიო "თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში იური ვლასოვმა განაცხადა, რომ მას სდევნის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, რომლის თანამშრომლებიც რამოდენიმეჯერ შევიდნენ მის ბინაში, მისი და ოჯახის წევრების არყოფნისას, ჩაატარეს საიდუმლო ჩხრეკა, ხოლო სამკურნალო პრეპარატ რიბოქსინის ამპულები, რომლის ინექციებს იკეთებდა ვლასოვი, შეუცვალეს ძლიერი დეპრესანტული /დამთრგუნველი/ უცნობი საშუალებით. როდესაც მისი მკურნალი ექიმები ლაეჭვდნენ და დააპირეს ამპულების შიგთავსის ლაბორატორიული გამოკვლევა /განსხვავებით სამკურნალო საშუალების ამპულებისაგან შეცვლილი ამპულების წარწერები ხელის გადასმით ცილდებოდა/ ისინი გააქრეს ბინიდან.

აღსანიშნავია, რომ ი. ვლასოვს სუკ-ისაგან "მზრუნველობა" მემკვიდრეობით მოსდგამს; მის წამას, პეტრე ვლასოვსაც გულაგის ჯურღმულებში აღმოხდა სული.

# თქვენც ჩვენნაირად განეობოლშევიკდით!

ამ ბოლო ხანს, ერთი შეხედვით, საოცარი ამბის მოწმენი ვხდებით, ოფიციოზის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ პოლიტიკურ გაერთიანებებს ნეობოლშევიკებს გვიწოდებენ.

ეტყობა კომუნისტებს იმდენად გაუჭირდათ, რომ საკუთარი თავის ლანძღვას აღარ დაგიდევენ, რამეთუ ეს ეპითეტი ჩვენ მოფერებითაც სულაც არ მიგვაჩნია.

მეტს რაღას გავითათხებითო — ფიქრობენ ალბათ და ერთ ჭუჭყიან ღორზე რომ ანდაზაა, იმის მიხედვით ირჯებიან.

ირჯებიან და ამაოდ!

ამაოდ, რადგან ვინც ჩვენს მიზნებს, მათი მიღწევის გზებსა და საშუალებებს იცნობს და ვისაც სკკპ ისტორიის "სახელმძღვანელო" სხვა "წყაროებითურთ" ჯიუტად, თან კრიტიკულად წაუკითხავს, არ გაუჭირდება ამ შედარების ბოროტი განზრახვის ჟუსუსური არგუმენტირების გამოცნობა, ხოლო მათ ვისზეც ეს ბინძური სვლაა გათვლილი, ვინც ბოლშევიზმზე მხოლოდ ცხოვრების საშინელი პირობებით და იმ შემზარავი გარემოთი მსჯელობს რომელშიც ვიმყოფებით, მოვახსენებთ რომ ლენინისა და მისი მიმდევრების მიზანი იყო მსოფლიო კომუნისტური იმპერიის შექმნა. ამის მიღწევას ისინი აპირებდნენ უკომპრომისო ბრძოლით მოწინააღმდეგე მხარესთან; მათი ერთ-ერთი ტაქტიკური სვლა იყო ე.წ. ბულიგინის /1905 წ./ და I სახელმწიფო /1906/ სათათბიროთა ბოიკოტი, მოითხოვდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებით დაემხოთ ხელისუფლება; ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მისი შენარჩუნება გადაწყვეტილი ჰქონდათ პროლეტარიატის /სინამდვილეში პარტიის ელიტის/ დიქტატურით. რუსეთის ბოლშევიკური ექსპანსიის მიზნით შეკოწიწებული კომუნისტური ინტერნაციონალით ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებულ აჯანყებათა ინსპირირებას სხვა ქვეყნების კანონიერ მთავრობათა წინააღმდეგ, რათა იქაც ისეთივე "სამოთხე" დაემყარებინათ, როგორშიც ამჟამად ჩვენ ვნეტარებთ.

ჩვენი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ავდახსნა იმ იმპერიის კლანჭებიდან, რომელშიც მოვექეცით 1921 წელს ბოლშევიკური აგრესიის გამო. ამის მიღწევა შესაძლებელია კრემლთან შეურიგებელი ბრძოლით. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი აქცია იქნება საბჭოთა არჩევნების სრული ბოიკოტი და ბლოკირება. ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ ძალადობის ნებისმიერ ფორმას, ვიყენებთ ბრძოლის მშვიდობიან ხერხებს და განსაზღვრულ ეტაპზე ქართველ ერს მოუწოდებთ ეროვნული დაუმორჩილებლობისა და არაშეიარაღებული აჯანყებისაკენ. დამოუკიდებელი საქართველო იქნება მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული, პლურალისტური სახელმწიფო.

უკომპრომისობა და ბოიკოტი - აი, ამ ყურით მოთრეული ტერმინების დამთხვევის გამო ვგავართ თურმე ბოლშევიკებს!

გაგრძელება აღარ ღირს, მაგრამ მაინც უნდა დავძინოთ, რომ უკომპრომისოდ ბოლშევიკთა სრული ანტიპოდი მაჰათმა განდიც ებრძოდა ინდოეთის დამპყრობლებს და უსისხლოდ გაანთავისუფლა თავისი დიადი სამშობლო, ხოლო ბოიკოტზე სპეკულაცია ხავსს მოჭიდებაა ოპონენტთა მხრიდან, რადგან ბავშვიც კი არჩევს ვინ რას უცხადებს უარს და აქვე იმასაც ვიტყვით რომ რევოლუცია /რევოლუცია და არა ოქტომბრის პუტჩი/ რუსეთში არც "დუმას" მოუსპენია და არც ბოლშევიკურ შეიარაღებულ აჯანყებას, არამედ მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა და სახალხო დაუმორჩილებლობამ აიძულა ნიკოლოზ II ტახტიდან გადამდგარიყო. რაც შეეხება კომუნისტურ იმპერიასა და დამოუკიდებელ საქართველოს, კომუნისტურ პარტოკრატიასა და დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ქართველმა ერმა თვითონ გააკეთა არჩევანი, რასაც ადასტურებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და რამაც მუცლის გვრემა დამართა ჩვენი მამულის მტრებს.

ამიტომ თვითმარქვია "ნათლიებს" ვურჩევთ, რომ "იარლიყების მიწებებას თავი დაანებონ" /მათმიერია/ და მართალია დიდად გვეეჭვება, მაგრამ მშვენიერი ანდაზით - შემახილოთ ხე გახმაო - იმედდაცემულები მოვუწოდებთ:

ბოლშევიკებო, თქვენც ჩვენნაირად განეობოლშევიკდით!

ბუტა ტალახაძე

15.X.89 წ.



**მოგიწოდებთ შემოწირულობა შემოიტანოთ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ფონდში**

ნ ო მ ე რ ი  მ ო ა მ ზ ა დ ა :

ზურაბ შუბითიძემ

მხატვარი: მურად ღარიბი.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ყოველდღე საღამოს 7 საათზე ვერის ბაღში /ყოფ. კიროვის/